ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №104

2014 წლის 23 ივლისი,
ქ. ბათუმი

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ” ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №134–ე დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილებები „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ” ბსუ–ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 27 ივლისის №134–ე დადგენილებაში. კერძოდ,

ა) დანართი 1–ის მე–3 მუხლის 3.6. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3.6. მისაღები გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფენ დეპარტამენტები და კოორდინირებას უწევს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის სამსახური“.

ბ) დანართი 1–ით დამტკიცებული „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმის“ მე–2 და მე–3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

2. ფაკულტეტი (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ფაკულტეტი)
1. ტექნოლოგიური ფაკულტეტი
2. სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი
3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
4. ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

3. სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი პროგრამა)
1. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა
2. აგროეკოლოგია, მცენარეთა დაცვა
3. ბიზნესის ადმინისტრირება
4. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი
5. ეკონომიკა
6. გეომეტრია–ტოპოლოგია
7. ფიზიკა
8. ლიტერატურათმცოდნეობა
9. ლინგვისტიკა
10. არქეოლოგია
11. ისტორია
12. ბიოლოგია
13. ბიოქიმია

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**